

ლია ბაგრატიონი  
LIA BAGRATIONI

შეშლილი ჩაის სმე  
A MAD TEA-PARTY





საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
თბილისის ისტორიის მუზეუმი  
თანამედროვე ხელოვნების გალერეა

GEORGIAN NATIONAL MUSEUM  
TBILISI HISTORY MUSEUM  
CONTEMPORARY ART GALLERY

# ლია ბაგრატიონი **LIA BAGRATIONI**

შეშლილი ჩაის სმა  
**A MAD TEA-PARTY**

2018





ქართველი ხელოვანი, ლია ბაგრატიონი, ცხოვრობს და მუშაობს თბილისში. 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. ლია ბაგრატიონი ქართული კერამიკული ხელოვნების და რეწვის *თიხის ოფისი* თანადამფუძნებელია და კერამიკის საერთაშორისო აკადემიის IAC-ის წევრია. ამჟამად, ის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორია. ლია ბაგრატიონი მულტიმედიაში მომუშავე არტისტია. მისი შემოქმედება ერთი დარგით არ შემოიფარგლება, თუმცა, თიხა და თიხის თვისებები მის მთავარ მედიუმად რჩება.

Lia Bagrationi is a Georgian artist living and working in Tbilisi. She graduated from the State Academy of Art in 1980. Bagrationi is a co-founder of the Georgian Ceramic Art and Craft Foundation *The Clay Office* based in Tbilisi and a member of IAC (International Academy of Ceramics) based in Geneva. She is currently a professor at the Tbilisi State Academy of Art. As for artist Bagrationi is not confined to one subject area, preferring to vary her projects and media. Though clay, and specifically features of clay remain as her main medium.





პროექტი თანამედროვე ხელოვნების გაღერა, მიზნად ისახავს თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობასა და განვითარებას საქართველოში, რაც მოიცავს გამოფენებს, კონკურსებს, ლექციებს, ვორკშოპებსა და ბეჭდურ პროდუქციას. 2018 წელს, პროექტის ფარგლებში, მომზადდა კერამიკოს ლია ბაგრატიონის შემოქმედების ამსახველი ვრცელი გამოფენა, ასევე ფილმი და კატალოგი ხელოვანის შესახებ, შედგა ვორკშოპი უცხოელ კოლეგებთან ერთად: ალექსანდრა ენგელფრიტი (ნიდერლანდები) და მანუელ კანუ (დანია). ამგვარად, არტისტის შემოქმედებაზე წარმოდგენილი მრავალმხრივი მხატვრული ინფორმაცია, კარგი შესაძლებლობაა ხელოვანისათვის, წარსდგეს ნებისმიერი ქვეყნის წინაშე.

**ხელოვანი მშვენიერების შემოქმედია**  
**ოსკარ უაილდი**

ლია ბაგრატიონი თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია, რომელიც ინტენსიურად განავითარებს ტრადიციულ ცოდნაზე დაფუძნებულ ოსტატობას, ითვისებს ნოვაციებს, იყენებს ნებისმიერ დარგობრივ საშუალებას. თემებს, რომლებიც მის ხელოვნებაში უკავშირდება ყოფიერებისა და ცნობიერების ყველაზე რეალურ, მტკივნეულ საკითხებს, ლია ბაგრატიონი კონცეპტუალურად ახალ სახეს ეძებს. პროექტი *შეშლილი ჩაის სმა*, აერთიანებს მის ადრეულ და უახლეს ნამუშევრებს. ავტორის დაკვირვების ობიექტი - ჩაის სმის რიტუალია, რომელიც მისივე განმარტებით მშვიდ ატმოსფეროსთან ასოცირდება და არაფერი აკავშირებს შეშლილობასთან. აქედან გამომდინარე, სახელწოდება *შეშლილი ჩაის სმა*, საწყისშივეა აბსურდული. ლია ბაგრატიონის ინსტალაციის მედიუმი მშრალი თიხის თვისებაა, რომელსაც წყალი მლის. ამგვარი კონცეფციის თანახმად, *შეშლილი ჩაის სმა* არტისტის ვიზუალიზებულ, რიტუალურ ყოფით აბსურდს წარმოგვიდგენს.

**ლიკა მამაცაშვილი**  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროექტის კოორდინატორი

The project *Contemporary Art Gallery* aims to promote and develop contemporary art in Georgia through the exhibitions, competitions, lectures, workshops and printed media. In 2018, within the framework of the project the exhibition of ceramic artist Lia Bagrationi was opened, the film and catalog were prepared, and the workshop was held with foreign colleagues: Alexandra Engelfriet (The Netherlands) and Manuel Canu (Denmark). This versatile creative information about the artist is a good opportunity and can be presented to any country.

***The artist is the creator of beautiful things***  
**Oscar Wilde**

Lia Bagrationi is a representative of contemporary art and intensively develops the mastery of traditional knowledge, assimilates innovations, creates innovative space. Lia Bagrationi gives conceptually specific and new look to the themes, which in her art are related to the most realistic and painful issues of existence and consciousness. Lia Bagrationi's project *A Mad Tea Party* unites her early and latest works. The author mostly searches for the observation of the tea drinking ceremony, which associates with a calm atmosphere and there is nothing common with madness. Therefore, the title *A Mad Tea Party* is absurd. A Medium of Lia Bagrationi' installation is a nature of dry clay that dissolves in the water. According to this conception, *A Mad Tea Party* represents Lia Bagrationi's visualized ritual absurd.

**Lika Mamatsashvili**  
Doctor of art studies, Project coordinator



## რატომ ჩაის სმა და ისიც შეშლილი? WHY THE MAD TEA PARTY?

ლია ბაგრატიონის გამოფენა *შეშლილი ჩაის სმა*, თბილისის ისტორიის მუზეუმში, მხატვრის ბოლოდროინდელი ნამუშევრებისგან შექმნილი ექსპოზიციას, რომლის ნაწილი შედარებით ძველი ნამუშევრების რეკონსტრუქციას, რამაც მათი მეტ-ნაკლები ვიზუალური ტრანსფორმაცია გამოიწვია.

გამოფენა, რომელიც შემთხვევითობას, ხილულის და უხილავის, მეხსიერების და მასალის ურთიერთქმედებას იკვლევს, ცდილობს უპასუხოთ კითხვებს: როგორ ითარგმნება ეს ურთიერთობები მასალის ენაზე? როგორ პასუხობს თიხა ესთეტიკურ ამოცანებს? როგორ ხდება თიხის ფუნქციურობის და ფიზიკურობის ვიზუალურ კონცეფციად გარდაქმნა? წარმოდგენილი ნამუშევრები აქტუალურ სოციალურ პრობლემეტიკას, ქალი-სადმი საზოგადოების დამოკიდებულებას და თიხისა და სასიცოცხლო პროცესების ეკოლოგიას ეხება.

ლია ბაგრატიონის - კონცეპტუალური კერამიკის და სტუდიური რეწვის არტისტის ურთიერთობა თიხასთან, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. მისთვის თიხა არ არის მხოლოდ საშუალება, რითაც ის სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების მანიფესტაციას ახდენს. თიხა, თავისი ხასიათით, მოცემულობით და ალქიმიით, მისთვის შექმნის პროცესის თანამონაწილედ, სრულუფლებიანი ელემენტი და თანასწორი პარტნიორია. მხატვარი მიჰყვება თიხის *ქცევას* და ათავისუფლებს მას ფორმით განპირობებული საზღვრებისგან. თიხის ნაკლებად ცნობილი თავისებურებების გამოვლენით, ის მასალის არსში ჩანვდომას ცდილობს. ლია ბაგრატიონისთვის თიხა ის უნივერსალურ სუბსტანციაა, რომელიც მას მხატვრული ამოცანების გადაჭრაში ეხმარება. სწორედ მხატვრის თიხასთან ურთიერთობაში უნდა ვეძებოთ ის პირველადი იმპულსი, რომელმაც, 2005 წლიდან დაწყებული, ლია ბაგრატიონის კონცეპტუალუ-

*A Mad Tea Party* is a personal exhibition of Lia Bagrationi showcasing recent works of the artist in the Tbilisi History Museum. The part of the works are new projects while some of them are older, however, reconceptualized works with certain visual transformations.

The exhibition examines a chance and an interaction of visible and invisible, memory and material. It tries to answer the questions: how does clay response to aesthetic tasks? How the functionality and physicality of clay can be transformed into a visual concept? While answering these questions, the artist deals with the topical social problems. Among them the attitudes of society towards women and the ecology of interrelation among clay and vital processes.

Lia Bagrationi is an artist working in conceptual ceramics and studio craft. Her relationship with her own material - clay is worth a special mention. For her, a clay is not only a means of manifesting her own attitude towards the world, by giving it different forms. In other words, she doesn't just use it. For Lia, a clay is a co-participant of the process, a full-fledged element and an equal partner with its own characteristics, ways of function and alchemy. While placing clay in the conditions opposite to the functionality and technicality emblematic of craft, the artist follows the *behavior* of clay and frees it from the boundaries of form. By trying to expose less known properties of clay, she attempts to find the essence of clay. The artist's goal is to transform clay into a universal substance that will help her to solve her artistic tasks.

In this very relationship of the artist toward her work-

რი ხელოვნებით დაინტერესება განაპირობა. მისი მასალა დღეს უკვე არა მხოლოდ თიხა, არამედ სხვადასხვა საგანი, ქსოვილი და ნივთიერებაა. რეწვის საზღვრების გადალახვამ მასალასთან ერთად, მედიების მრავალფეროვნებაც გამოიწვია - პერფორმატიული ვიდეო, ინსტალაცია, ობიექტი, სკულპტურა და ფოტოგრაფია. ინსტალაცია *შეშლილი ჩაის სმა*, მხატვარმა პირველად, 2015 წელს, მე-8 არტისტერიუმის ფარგლებში, გალერეა არტარეაში აჩვენა. ნამუშევრის ტექსტში ვკითხულობთ: *იდეალური პირობით ჩაის სმის რიტუალი მშვიდ მოწესრიგებულ ატმოსფეროსთან ასოცირდება და მას არაფერი აკავშირებს შემშლილობასთან. აქედან გამომდინარე ჩემი დაკვირვების ობიექტის სათაური შეშლილი ჩაის სმა თავისივე სიტყვათა წყობაშია აბსურდული.*

როგორც გამოფენის სახელწოდება, *შეშლილი ჩაის სმა*, ამაჯერადაც აბსურდულობაზე მიუთითებს. ჩაის ჭიქები, საიდანაც შეუძლებელია ჩაის დაღევა, კალათბურთის ბურთი, რომელიც კალათში არ ვარდება, ქალები, რომლებიც საგამოფენო დარბაზში ვერ ეტევიან თუ კლასიკური ქანდაკების ნიმუშები თანამედროვე, სოციალურ-კულტურული ნიშნებით - ყველაფერი ეს, იმ ინტელექტუალურ-ემოციური წონასწორობის დარღვევას ემსახურება, რომელსაც მეტწილად ვერც კი ვაცნობიერებთ. ლია ბაგრატიონის მიზანიც ესაა - დაურღვიოს მაყურებელს რეალობის მედაპირზე მყოფი, ილუზორული წესრიგის განცდა და საგნების, მასალების, ცნებების და შეგრძნებების უფრო ღრმა შრეების აღმოსაჩენად გააგზავნოს.

მაგდა გურული  
პროექტის კურატორი

ing material, can be found the principal impulse, which, since 2005, has led her gradual transformation from a craft into a conceptual artist. Her material nowadays is not only a clay, but also different objects, fabrics, and substances. The proves of overcoming the borders of craft and working materials has caused the diversity of media - performative video, installation, object, sculpture, and photography. Lia Bagrationi has shown *A Mad Tea Party* as an installation in the Artarea Gallery, within the Artistarium 8 / 2015. Her text for the exhibition reads: *The ideal condition of having tea is associated with a calm and disciplined atmosphere and it has nothing to do with the madness. Therefore the title of my object A Mad Tea-Party is an absurd with its word order.*

*A Mad Tea Party*, as the name of the personal exhibition is a way to highlight the absurdity of things and to connect the presented works to one of the most important elements of visual art - a violation of expectations. Teacups from which it's impossible to drink tea, a basketball ball that does not fall into the basket, women who cannot fit the exhibition hall, or classic sculptures with modern, socio-cultural signs - all these serve the violation of intellectual and emotional balance with which we often are not even in touch. Lia Bagrationi's goal is to break the illusory feeling of order remained on the surface of reality and to send us to explore deeper layers of objects, materials, concepts, and senses.





გბაბე, 2018, ადგილ-სპეციფიკური ინსტალაცია, ქსოვილი, თიხა, სხვადასხვა მასალა  
*On the Road*, 2018, site-specific installation, fabric, clay, various materials



რამდენი იარლიყი მიასვირინგეს ქალღმერთებს, რამდენნაირ სხეულში დაატყვევეს, რამდენნაირი უნიფორმა გადააცვეს, რამდენ არქეტიპში განსხეულდნენ და რა გზებით იარეს ამ ჭიქა ჩაიმდე: ემიგრაციაში? ეპოსში? აკვნებთან? თამბაქოს ჭიხურებში? კოშკებში? ხატებზე? მოჭერილ კორსეტებში? ჩადრებში? ქათმის ფეხებიან ქოხებში? ჟურნალის ყდებზე? კაბარეებში? სეილემში? პორნო საიტებზე? გმირების გვერდით? ხმა-მადლა ვიკითხავდი საიდან მოვიდნენ: ზღვის ქაფიდან? მიწიდან? თიხიდან?

*მე რომ ჩემი სამყარო მქონდეს, ყველაფერი ნონსენსი იქნებოდა.* - ინატრა ახალგაზრდა გოგონამ და საკუთარი თავის საპოვნელად საოცრებათა ქვეყანაში გაემგზავრა.

გამოფენის სათაური *შემოღილი ჩაის სმა*, ეს ასევე ჩემი ადრინდელი ინსტალაციის სათაური და ამავე დროს, ამ გამოფენისთვის სპეციალურად შექმნილი ვიდეო-დიპტიქის სახელიცაა. იდეალური პირობით, ჩაის სმის რიტუალი მშვიდ, მოწესრიგებულ ატმოსფეროსთან ასოცირდება, ეტიკეტთან, სიმშვიდესთან, თავშეკავებულობასთან და მას არაფერი აქვს საერთო შემოღილობასთან. აქედან გამომდინარე ჩემი გამოფენის სათაური თავისივე სიტყვათა წყობაშია აბსურდული და თავადვეა დაკვირვების ობიექტი - მოპატიჟებაა სინტაქსის არევისკენ. სრულიად აბსურდულ გარემოში მიმდინარეობს ჩაის სმა ვიდეოშიც, სადაც ქალები სუფრას უსხედან. სწორედ ეს ნონსენსი და აბსურდი მესახება განმანთავისუფლებელ იარაღად. სტიგმებსა და დოგმებს იქით ბოღვაა, და ეს ბოღვა საკუთარი თავის გადარჩენა შეიძლება იყოს.

**ლია ბაგრატიონი**  
პროექტის ავტორი

How many labels were tattooed on goddesses? How many types of bodies they were harnessed to? How many uniforms they had to fit in? How many archetypes they had to embody and what kind of paths they took before having this cup of tea: Emigration? Epos? Cradles? cigarette kiosks? Fairy tale castles? Church Icons? Tight corsets? Burkas? In huts with chicken legs? On Magazine covers? In Cabarets? Salem? Porn websites? Next to heroes? And I would ask out loud, where did they come from: Sea foam or Earth? Maybe Clay?

*If I had a world of my own, everything would be nonsense – a young girl dreamt. Off she went to the wonderland in search of her own self.*

The title of this exhibition is *A Mad Tea Party*. It is also the name of my old installation and at the same time, it is the title of the video-diptych created especially for this exhibition. Ideally, a ritual of *tea-drinking* is associated with tranquil, organized atmosphere, with etiquette, peace and self-control – it doesn't have anything in common with madness. This is why the title of the exhibition absurd. Its absurd word adjustment makes it an object of observation of its own – it is an invitation to chaotic syntax. The environment surrounding the tea party in a video is totally absurd as well, where we can see women sitting at the table. This is exactly the nonsense and absurd I consider to be a tool for freedom. Beyond stigmas and dogmas there is gibberish, and gibberish can be a savor.

**Lia Bagrationi**  
Project author



*25 წლის შემდეგ გნახავ!* 2018, ობიექტი, კერამიკა, საღებავი  
*I'll See You in 25 Years!* 2018, object, ceramics, paint





კალათბურთი, 2018, კედლის ინსტალაცია  
*Basketball*, 2018, wall installation



ლაქა II, 2018, ობიექტი, კერამიკა, ჭიქური  
*Stain II*, 2018, object, ceramics, glaze



ლაქა I, 2018, ობიექტი, კერამიკა, ჭიქური  
*Stain I*, 2018, object, ceramics, glaze





შემლოლი ჩაის სმა, 2018  
A Mad Tea Party, 2018



## გვერდის ავლით BYPASSING



თიხა სამყაროს შეხებათა საკუთარ თავში ამსახველი და ამ აღ-  
ბეჭდილის გადამცემია; ერთგვარი მედიუმი. ამ უნარის მეშვე-  
ობით, თიხის სხეულში, უხსოვარი დროიდან, მრავალშრიანი  
კულტურული ინფორმაციაა დაგროვილი.

სივრცეში, რომელშიც გადაადგილდებით, თქვენ გვერდს უვ-  
ლით სწორედ ამ ინფორმაციას - ათასწლეულთა ანაბეჭდებს,  
რომელიც მიედინება გამჭვირვალე პლასტიკურ სადენებში,  
თიხაში აღბეჭდილი და დაშიფრული კულტურული კოდების  
სახით.

კიბერ ტექნოლოგიების ეპოქაში, ინფორმაციის წარმოუდგენ-  
ლად სწრაფი გავრცელების გარემოში, ჩვენ ვდგავართ იმ სა-  
შიშროების წინაშე, რომ სამყარო მხოლოდ ციფრულად აღვიქ-  
ვათ, ხოლო ყოველივე ხილული და ხელშესახები შეუმჩვეველი  
დარჩეს.

Clay is a medium that encapsulates two worlds intersecting.  
Due to this unique quality, it holds multiple layers of cultur-  
al data from the beginning of times.

In the spaces that you move through, you bypass this data  
- the imprints of millenniums flowing through plastic veins,  
depicted and encrypted via cultural codes in clay.

In cyber era, when information travels at unimaginable  
speeds, we are faced with dangers of perceiving just the  
digital, while all that is visible and tangible remains unseen.

გვერდის ავლით, 2018, გამჭვირვალე პლასტმასის მილი, თიხა, კონტექსტ-სპეციფიკური ინსტალაცია, Oxygen - Tbilisi No Fair  
Bypassing, 2018, transparent plastic tubes, clay, context-specific installation, Oxygen - Tbilisi No Fair



# INO VAYAS SOLA, REMEDIOS!

პროექტი *No vayas sola, Remedios!* ჭიის პეპლად გადაქცევის საილუსტრაციოდ, აქცენტს თიხის სახეცვლილების შედეგად მიღებულ საბოლოო პროდუქტსა და ამ პროდუქტის შექმნის პროცესზე აკეთებს. თიხის მეტამორფოზას მაყურებელი მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში განთავსებულ ვიდეოპროექციებზე ხედავს მათ შორის ერთი ვიდეო მუზეუმში, ხოლო მეორე ლია ბაგრატიონის სახელოსნოში ჩატარებული პერფორმანსის მხატვრული დოკუმენტაციაა. პერფორმანსის გამოყენებას პროექტში ორგვარი დატვირთვა აქვს: ისტორიული, როგორც ინტერვენციის ტრადიციულად მნიშვნელოვანი ფორმა (ვენის აქციონისტები, დადა, ნეო-დადა) და ინფორმაციული, როგორც თიხისგან შექმნის ვიზუალური ნარატივი. ვიდეოპერფორმანსში ხაზგასმულია მსგავსება ხელოვანის სხეულს, აბრეშუმის ჭიის პარკსა და საბოლოო ობიექტს შორის. სპეციალურად პროექტისთვის შექმნილი ვაბა, რომელიც ხელოვანს მუშაობისას აცვია, ერთი მხრივ მოდის ინდუსტრიაში აბრეშუმის გამოყენებას ეხმაურება, მეორე მხრივ კი ხელოვანის თიხასთან შეხების საკრალურობას უსვამს ხაზს.

**მაგდა გურული**  
*No vayas sola, Remedios!* კურატორი



To illustrate a silkworm’s transformation into a butterfly, the project “No vayas sola, Remedios!” stresses the process of clay modification and its final state. The clay metamorphosis is shown on two videos in one of the halls of the museum. One of the videos is created in the museum, while the other is an artistic documentation of Lia Bagrationi’s performance in her studio. The performance carries two meanings within the project; one is historical, as a traditionally important form of the intervention (Vienna actionists, Dada, Neo-Dada), and the second is informational as a visual narrative of creation out of clay. The video performance underlines a similarity between a silkworm cocoon and the final object. A designer dress, created especially for the project and worn by the artist during the performance, reflects the wide utilization of silk in the fashion industry and stresses the sanctity of touching clay.

**Magda Guruli**  
curator of the *No vayas sola, Remedios!*



*მარტო ნუ წახვალ, რემედიოს!*, 2017, მულტიმედია ინსტალაცია, არტინტერვენცია, თბილისის აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი  
*Don't Go Alone, Remedios!*, 2017, multimedia installation, artintervention, Tbilisi State Silk Museum





რემედოს და მე  
 მარტონი ოთახში  
 რემედოს არ ჩანს  
 არც მე  
 მე:  
 რატომ არ დარჩი რემედოს, ხომ გთხოვე ნუ წახვალ-მეთქი?!  
 სიჩუმე  
 რემედოს არ ჩანს  
 არც მე  
 მე:  
 მაშინაც არაფერი გიპასუხია, კრინტიც არ დაგიძრავს, ისე  
 წახვედი. გამხმარი ნაპრალი და კაბა დამიტოვე შენს მაგივრად  
 ჩემო მშვენიერო  
 მე  
 (1 დეკემბერი)



Remedios and I  
 Alone in the room  
 Remedios can't be seen  
 Neither can I  
 I:  
 Why didn't you stay, Remedios, I want you not gone?!  
 Silence  
 Remedios can't be seen  
 Neither can I  
 I:  
 Then too, you didn't answer, abandoned, said no word.  
 You left me in your instance my fair a dry crack and a gown  
 (December 1)



## 90 გრადუსი 90 DEGREE

კერამიკული ნამუშევარი *90 გრადუსი* არის არქიტექტურული ობიექტის შიდა კუთხის მოდელი.

რაც უფრო მცირეა მართი კუთხის გვერდები, მით უფრო რთულია დაადგინო, რა არქიტექტურულ ობიექტს ეკუთვნის ის.

ნამუშევარი, მისი მცირე ზომის გამო, უნივერსალურ კუთხეს წარმოადგენს.


როგორც არქიტექტურული ელემენტი, ის შეიძლება ნებისმიერ არქიტექტურულ ობიექტს ეკუთვნოდეს.

მაგრამ, ყოველი ერთნაირი კუთხიდან განსხვავებული პერსპექტივები იშლება...

This ceramic piece consists of a *90 degree* minimal sized inner corner's model of an architectural object.


The smaller the 90 degree corner sides are, the more difficult it gets to identify the architectural object where it belongs to.

Due to its small size, this piece of work acts as universal corner. As an architectural element, it can belong to any architectural objects. However, in every similar corner a different perspective unfolds...



*90 გრადუსი*, 2016, კერამიკა, მავთული, 19 x 22 x 13 სმ

*90 Degree*, 2016, ceramics, wire, 19 x 22 x 13 cm



*90 გრადუსი*, 2016, კერამიკა, მავთული, 15 x 21 x 21 სმ

*90 Degrees*, 2016, ceramics, 19 x 22 x 13 cm



## მანქანა, როგორც კედელი CAR AS A WALL



საბჭოთა წარსულით განსაზღვრული ობიექტი - დაჟანგული, ფუნქციადაკარგული მანქანა, როგორც მეტაფორა, ერთგვარ რუდიმენტადაა ქცეული პოსტსაბჭოთა საზოგადოების სხეულზე და მიწით მისი დაფარვა მისთვის მნიშვნელობის წართმევის ან, სულაც, მესხიერებიდან ამოშლის მცდელობაა.

This object defined with the Soviet past - the rusty, broken car is a metaphor, which became the basis of the body of post-Soviet society. To cover it with earth, is an attempt to make it meaningless and to forget it.

მანქანა, როგორც კედელი, 2016, ნივა, საბჭოთა  
ეპოქის ავტომანქანა, თიხა, ქვიშა და ცემენტი,  
ინსტალაციის ხედი, არტ ვილა გარიკულა  
*Car as a Wall, 2016, Niva soviet-era automobile,  
clay, sand and cement, installation view,  
Art Villa Garikula*





## კონსტრუქცია/დეკონსტრუქცია CONSTRUCTION/DECONSTRUCTION



ინსტალაცია გამოუწვავი აგურისგან აშენებული კონსტრუქციაა, რომელზეც, მის თავზე დამონტაჟებული სამედიცინო წვეთოვანი სისტემიდან განუწყვეტლივ მოედინება წყალი. ინსტალაციაში გამოყენებულია მშრალი თიხის თვისება: დაიშალოს წყლის მეშვეობით და გადაიქცეს პირვანდელ სუბსტანციად, რომლიდანაც განახლებული ენერგიით ახალ ფორმებს შექმნის. თიხის ეს თვისება ნამუშევარში *ავტორის* ფუნქციას ასრულებს. ის თავად წარმართავს შემოქმედებით პროცესს ისე, რომ თვითონვე ხდება საკუთარი თავის *შემომქმედი*.

The installation represents raw clay construction with medical IV system on top of it with water dripping constantly from it and it creates a self-renewable visual system. With drops of water dry clay collapses and then turns to its original substance which is ready and eager to become a new form.

This characteristic of clay acts as *an author* in the work. It leads the process in such a way that becomes *a creator* of itself.



კონსტრუქცია/დეკონსტრუქცია, 2014, თვითგანახლებადი მულტიმედია ინსტალაცია, ცვალებადი ზომა, არტისტერიუმი7, თბილისის ისტორიის მუზეუმი  
Construction/Deconstruction, 2014, self renewable multimedia installation, dimensions variable, Artisterium7, Tbilisi History Museum



## შეშლილი ჩაის სმა A MAD TEA-PARTY

ჩემი დაკვირვების ობიექტის სათაური *შეშლილი ჩაის სმა*. იდეალური პირობით ჩაის სმის რიტუალი მშვიდ მონესრიგებულ ატმოსფეროსთან ასოცირდება და მას არაფერი აკავშირებს შეშლილობასთან. აქედან გამომდინარე ჩემი დაკვირვების ობიექტის სათაური *შეშლილი ჩაის სმა* თავისივე სიტყვათა წყობაშია აბსურდული.

ობიექტის სათაურის თანახმად მოლოდინი გვაქვს რომ ჩაის სმა ჩვენ თვალწინ უნდა მიმდინარეობდეს. და თუ ჩაის სმა ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს, მაშინ ხალხსაც უნდა ვხედავდეთ ჩაის სმის პროცესში, ანუ ადამიანები ჩაის სმის პროცესში მაგიდის ირგვლივ უნდა ისხდნენ და მაგიდაზე კი ჩაის სმის რიტუალისთვის აუცილებელი ატრიბუტები უნდა იდოს...

აქ კი ყველაფერი სხვაგვარადაა - არც ადამიანები უსხედან მაგიდას და ჭურჭელიც რაც მაგიდაზეა, ჩაის სმისთვის სრულიად გამოუსადეგარია.

თუკი არც ჩაის ჭურჭელია ჩაის სმისთვის გამოსადეგი და არც ის ადამიანები არიან, ვინც მაგიდასთან სხედან და ჩაის სვამენ, მაშინ გამოდის რომ ჩაის სმაც არაა. თუმცა, სათაურის მიხედვით, ჩაის სმა ახლაც მიმდინარეობს და თუ ჩაის სმა ახლაც მიმდინარეობს და ჩვენ ვერ ვხედავთ იმ ადამიანებს ვინც ახლა ჩაის სვამენ, მაშინ იქნებ ჩვენ თვითონ არა ვართ აქ?!... და თუ ჩვენ მაინც აქ ვართ და ყოველივე ამას ვერ ვხედავთ, მაშ-ნამდვილად ჩაის სმასთან გვაქვს საქმე?

The title of my observed object is a *A Mad Tea-Party*. The ideal condition of having tea is associated with a calm and disciplined atmosphere and it has nothing to do with the madness. Therefore the title of my object *A Mad Tea-Party* is an absurd with its word order.

According to the heading we have an expectation that the process of drinking tea should happen in front of us. And if it happens in front of us then we should see people in the process of drinking tea, therefore, people in the process of drinking tea should be sitting around the table and the table should be covered with all the necessary attributes...

But here we have a different issue - neither the utensil is usable for having a tea with it, nor the people are sitting at the table. And if so, it means that there is no tea party as well. Although the title states that the tea-party is happening now. And if it is happening now and we cannot see those people drinking tea, maybe we are not here by ourselves? But still, if we are here and we cannot see all these moments, then does it really have to do with a tea party?



*შეშლილი ჩაის სმა*, 2015, გამოუწვავი თიხა, წყალი, მაგიდა, 155 x 245 x 121 სმ  
*A Mad Tea Party*, 2015, unfired clay, water, table, 155 x 245 x 121 cm








## ეს არის ქოთანი THIS IS A POT




ეს არის ქოთანი შთაგონებულია ლაო ძის კონცეფციით თიხის ჭურჭლის შესახებ და წარმოადგენს იმ უხილავი სივარდილის გამოვლენის მცდელობას, რაზეც ჩინელი ფილოსოფოსი მიუთითებს.

ქოთნის ცქერისას, ჩვენ ვფიქრობთ მის ფორმაზე, მასალაზე, მოცულობაზე და ასე ვრწმუნდებით რომ ჩვენს თვალწინ მართლაც ქოთანია. თუმცა, ლაო ძის მიხედვით, ქოთანი ეს კი არაა, არამედ მის შიგნით მოთავსებული სივარდილეა. იგი ამბობს: ჭურჭელს თიხისგან ამზადებენ, მაგრამ ჭურჭლის არსს მასში მოქცეული სივარდილე ქმნის.

The work *This is a Pot* is inspired by Lao Tze's concept concerning the emptiness inside a pot. While looking at the pot, we think about its shape, size, volume and material and after this we agree that this is a pot. But concerning Lao Tze – this is not a pot, he points out that a pot is defined by the emptiness of its inner space. He says: *We shape clay into a pot, but it is the emptiness inside that holds whatever we want.*



ეს არის ქოთანი, 2015, შერეული მედია, თიხა კედელზე, 43 x 26 x 26 სმ  
*This is a Pot*, 2015, mixmedia, clay on wall, 43 x 26 x 26 cm



ეს არ არის ქოთანი, 2015, კერამიკა, თიხა კედელზე, 52 x 37 x 37 სმ  
*This is not a Pot*, 2015, ceramic, clay on wall, 52 x 37 x 37 cm



# ტრანსფორმაცია

## TRANSFORMATION

და რომ გზა აღმავალი არის დაღმართი, წინ მიმავალი გზა კი უკან მიემართება

თომას სტერნს ელიოტი

კერამიკა, თავისი ხანგრძლივი ტრადიციით, მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანთან და მიწასთან. თიხა ადამიანური არსებობის ერთ-ერთი საყრდენია. მასთან დაკავშირებული სამუშაო ძალიან საინტერესოა ჩემთვის. ქართული პავილიონი ფესტივალზე საცხოვრისის სახით წარვადგინე. თიხის სუბსტანციის შემეცნების იარაღად გამოყენებულია არქეოლოგიური განათხარის იმიტაცია. მიწაში ღრმად ჩასვლა იძლევა ცივილიზაციების შრეებთან შეხების განცდას, საიდანაც თიხა, როგორც მესხიერების ჭურჭელი და შემოქმედებითი პოტენციის გამცემი, იღებს სათავეს...

*And the way up is the way down, the way forward is the way back*

Tomas Stearns Eliot

Ceramics with its long tradition is densely attached to the human being and the earth. clay is one of the pillars of the human existence. As for an artist the working process with clay is truly an interesting challenge for me. I presented a Georgian pavilion in Fest i Nova as a dwelling place. For the cognition of the substance of clay I used the imitation of archaeological dig. Going down to the ground gives the feeling of touching the layers of the civilizations, where the clay, as a memory vessel and deliverer of the creative potential begins.



ტრანსფორმაცია, 2014/15, მოდელირებული არქეოლოგიური ობიექტი, თიხა, ქვიშა, ცემენტი, 900 x 480 x 210 სმ, ინსტალაციის ხედი, არტ ვილა გარიკულა  
*Transformations, 2014/15, modeled archaeological site, clay, sand, cement, 900 x 480 x 210 cm, installation view, Art Villa Garikula*



## დროის ფენები\* LAYERS OF TIME

ლია ბაგრატიონის ობიექტმა *ტრანსფორმაცია* უამრავი ასოციაცია გამოიწვია, მაგრამ წყვეტილი ფრაგმენტული ჩანაწერის სახით შევჩერდები ერთზე - დროზე...

დრო ყველა დროის ახირებაა, დროს ყველა დრო თავისებურად განსაზღვრავს, დროზე ყველა ფიქრობს, მათ შორის ხელოვნებაც. ბევრ დროზე საუბრობენ - კოსმოლოგიურზე, ისტორიულზე, ბიოგრაფიულზე, კულტურულზე, ერთდროულ დროებზე, გაფართოებულზე, შეკუმშულზე, ასიმეტრიულზე, ფარდობითზე, და...

...და რადგან ილია ზდანევიჩს, ავანგარდის ერთ-ერთი ყველაზე რადიკალურ არტისტს, მგონი სწორედაც ავანგარდისა და მოდერნისტული განწყობებისგან განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა დროსთან, მეც მას, მისი *ყველაფრობის* კონცეფციას გავყვები.

ლია ბაგრატიონის ობიექტი *ტრანსფორმაცია* ჩემთვის გადაძახილია მასთან...

არქეოლოგიური საველე სამუშაოს სიმულირება, მიწაში არქეოლოგიური ობიექტის მოდელირება, მოდელირებულის არტეფაქტად ქცევა, ერთ საინტერესო ნიშანს ავლენს - დროითი ფენების ურთიერთჩაქსოვას და მათ თანადროულობაში წარსულის შემოყვანას...

ლია ბაგრატიონის ობიექტი დროს ფენებად შლის - მოდელირებულ *არქეოლოგიურ ობიექტთან* ჩვენი შეხება თითქოს დროის სიღრმეში სვლაცაა და უკან დაბრუნებაც - *არტეფაქტის* ერთი ელემენტი, კიბე, დროების სიმულტანური შეკვრის მეტაფორაა...

Lia Bagrationi's object *Transformation* causes a lot of associations, but I'll try to point out one of them - Time... Time is a whim of all times, every time determines the Time by it's own way, everyone think about Time, including art. They talk about many kinds of Time - cosmological, historical, biographical, cultural, simultaneous, extended, compressed, asymmetrical, relative, and...

...And because the one of most radical Avant-garde artist Ilya Zdanevich, had an attitude with Time, quite diverse from avant-garde and modernistic sentiments, I will follow his concept of *Everythingness*.

Lia Bagrationi's object *Transformation* is some kind of recall to it... Simulation of archeological field excavations, modeling of archaeological object in the ground, transformation of modeled object into the artifact reveals a remarkable sign - interweaving of time layers and bringing the past into the contemporaneity.

So, the object as if breaks the time into the layers and unites it - our touch to the modeled *archeological object* seems to be the moving into the depths of time as well as returning back -the ladder, as one of the vital fragment of the *artifact* is the metaphor of the simultaneous binding of Time.

There is an irony in the fact of the connection between modeled and real - as modeled has no specific source...

It points to the possibility of simultaneous confluence of different time layers; that we, *futures of the past* can overcome

მოდელირებულის რეალურთან შეერთების ფაქტში ირონიაცაა - მოდელირებულს კონკრეტული პირველწყარო ხომ არც აქვს... ის მიგვანიშნებს სხვადასხვა დროითი ფენების სიმულტანურად შეერთების შესაძლებლობაზე; იმაზე, რომ ჩვენ, *წარსულის მომავალმა*, შევძლოთ წინმავალი დროის კულტის გადალახვა და იმ წარსულების თუნდაც წარმოსახვითად მაინც დანახვა, რომლის მომავლებიც ჩვენ ვართ...

ლია ბაგრატიონის მოდელირებულ *არქეოლოგიურ ობიექტთან* თამაში წარსულების აწმყოსთან, წარსულების მის მომავლებთან დაბრუნების შეთავაზებაა, და ამავედროულად სწორედ მოდელირებისა და სიმულაციის გამო ირონიული მინიშნება ამის ჩვენი მხრივ შეუძლებლობაზე, იმის შეუძლებლობაზე, რომ ეს *არქეოლოგიური* თხრილი, ბზარი, იქცეს სიმულტანური შეხვედრის, როგორც აგამბენი ამბობს, შეჭახების ადგილად დროებსა და თაობებს შორის. ...

მიწა, ობიექტის შექმნის ერთ-ერთი მასალაა, რაც ბუნებრივია - ჩვენ ხომ მართალია მოდელირებულთან, მაგრამ მაინც *არქეოლოგიასთან*, *მიწაში ჩამარხულ წარსულთან* გვაქვს საქმე. მიწა დროში ყველაფრის დამტევია, შემნახავია. ის ერთადერთი ისტორიული დოკუმენტია, რომელიც დროის მიღმა, მარადიულობაში არსებობს, ითანხმებს და ინახავს წარსულსაც, აწმყოსაც, მომავალსაც და ამდენად შეუძლია მრავალ დროთა ორკესტრირება...

the cult of the linear time and see in our imagination those pasts whose future we are.

Lia Bagtarioni's playing with modeled *archaeological object* is like a proposal of sending the pasts to the present so to the futures of these pasts and the same time, just because of modeling and simulation ironic reference to the impossibility of doing this, the impossibility of the fact that this *archaeological* ditch, crack could be the place of simultaneous meeting, as Agamben says, place of clashing of times and generations...

Soil is one of the materials for creating the object which is reasonable - though we are dealing with modeled, but still with the *archaeology*, with *the past buried in the ground*.

The soil is one of the objects of creation, what is natural - we are, but still with *archeology*, *past buried in the ground*. It keeps everything through times. It is the only historical document that is beyond the time, in the eternity, it accords and keeps past, present and future, and so is an orchestrator of multiple times...

დოქტორი ნანა ყიფიანი

Dr. Nana Kipiani

\*დროის ფენები - რაინჰარტ კოზელეკის Zeitschichten-ის კონცეფციის მიხედვით

\*Layers of time - according to the Zeitschichten's concept by Reinhart Kosellek





## ორი ფიგურა TWO FIGURES

როცა დავიწყე მუშაობა სერიაზე *ორი ფიგურა*, მე ვფიქრობდი ორ ადამიანს შორის სექსუალურ აქტზე, როგორც აბსოლუტურ პერწყმაზე, რადგანაც, შეუძლებელია ორი ადამიანის უფრო ახლოს ყოფნა მათი ფიზიკური მთლიანობის დარღვევის გარეშე. ჩემი განზრახვაა გავისენო ბრანკუსის ცნობილი ნამუშევარი *კოცნა*, კიდევ უფრო შორს წავიდე ამ იდეით, გავაშიშვლო ნამუშევრის არსი და წარმოვადგინო ინტიმურობის მარტივი მექანიკა.

*ქანჩებით და ხრახნებით* ბუნებრივად უზრუნველყოფილი სხეულები ზუსტად ლეგოს ორი ნაწილივით იძირებიან ერთმანეთში.

As I started to work on my series, *Two Figures*, I was thinking about the sexual act between two people, as an ultimate contact, you can't get any closer to another human being without violating their physical integrity.

My intent is to pay homage to Brancusi's famous *The Kiss*, by taking it a step further and stripping it down to its absolute essence in order to present the bare mechanics of intimacy.

Nature provides *screws and bolts*, so the bodies sink perfectly into one another just like two pieces of Lego.



ორი ფიგურა, 2013, კერამიკა, 35 x 42 x 50 სმ  
*Two Figures*, 2013, ceramics, 35 x 42 x 50 cm



ორი ფიგურა, 2014, კერამიკა, 60 x 60 x 40 სმ  
*Two Figures*, 2014, ceramics, 60 x 60 x 40 cm







თიხა, როგორც მუხსიერების ჭურჭელი, 2014. გალა გალერეა  
*Clay as a Memory Vessel, 2014. Gala Gallery*



## გამჭრალ ქალაქთა ანარეკლები MIRROR REFLECTIONS OF VANISHING CITIES







გამჭრალ ქალაქთა ანარეკლები, 2008, კერამიკა, 27 x 30 x 18 სმ  
Mirror Reflections of Vanishing Cities, 2008, ceramics, 27 x 30 x 18 cm

არაფერია შემზარავი ნანგრევებზე,  
რომლებიც წყვეტენ მეტაფორად ყოფნას  
და იქცევიან იმად, რაც ოდესღაც იყვნენ:  
სახლებად.

იოსიფ ბროდსკი

*Nothing terrible ruins,  
which cease to seem a metaphor  
and become what they once were:  
houses.*

Joseph Brodsky



გამჭრალ ქალაქთა ანარეკლები, 2007/09, მცირე ზომის კერამიკა  
Mirror Reflections of Vanishing Cities, 2007/09, small scale ceramics



## ფულის ილუზიიდან კულტურის რეალობამდე

### FROM THE ILLUSION OF MONEY TO THE REALITY OF CULTURE

ლია ბაგრატიონის სამეტყველო ენა, სამუშაო სტრატეგია და თემატიკა გააზრებულად მიმართავს მეოცე საუკუნეში ფორმირებულ, დასავლური ვიზუალური კულტურისა და ხელოვნების მახასიათებლებს. მათ ღია ბაგრატიონი საკუთარი ესთეტიკის, არტისტული ეთიკის, კულტურის არტისტული კვლევის შედეგებისა და საკუთარი პოზიციის გამტარ მედიუმებად აქცევს. მისი შემოქმედება არა მხოლოდ მიმართულებას და მაგალითს აძლევს თანამედროვე ქართულ ხელოვნებას - თანამედროვე სახელოვნებო ფორმებთან ადაპტირებისა თუ მათზე დაფუძნებით ავთენტური ფორმების შექმნის პროცესში, არამედ საკუთარ თავზე იღებს ტრანსკრიპტორის როლს. კერძოდ, გლობალიზაციის მიერ მოტანილ ახალ თემებსა და პრობლემებს, რომლებიც თვისებრივად ცვლიან ქართული კულტურის ველს, არტისტი მედმევად გვერდით მიჰყვება და ვიზუალური ხელოვნების მეშვეობით, ახალი თემატიკის გადამუშავების, ანალიზისა და ადაპტირების პროცესში იღებს მონაწილეობას. ამით, ის თანამედროვე გლობალური საკითხების არტისტული კვლევისა და თანამედროვე სახვით ენაზე კონვერტირების მაგალითს იძლევა. არტისტი კულტურის სხვადასხვა დონის აღმწერ თემატიკაზე ფოკუსირდება და ქმნის მათ ვიზუალურ კონტაქტებს.

იგი მუშაობს ისეთ გლობალურ საკითხზე, როგორიც არის თანამედროვე, ეკონომიკური გლობალიზაციის

Lia Bagrationi's language, working strategy and the theme intentionally refers to the characteristics of Western visual culture and art, formed in the twentieth century. Lia Bagrationi makes them as conductive mediums of her own aesthetics, artistic ethics, artistic research of culture and her own position. Her creativity gives Contemporary Georgian art not only the direction and example of the adaptation to the contemporary art forms, or the basis of creating authentic forms based on them, but also assimilates the role of transcriptor. In particular, the artist constantly follows the new topics and problems brought by globalization, which qualitatively change the field of Georgian culture, and by means of visual art participates in the process of modifying, analysing and adaptation of new topics and thus gives an example of artistic research of contemporary global issues and convertation on contemporary language. Artist mainly is focused on the topics of culture itself and creates visual connotations for it.

She works on the global issues such as contemporary basis of economical globalization, culture of money and creates the visual analog based on the concept of money (series *Money Illusion* 2003-2008). The artist makes us think about superstructures of the capitalist system, the source of their power - money

საყრდენი ბურჯის, ფულის კულტურა და ქმნის ფულის კონცეფციაზე დაფუძნებულ მის ვიზუალურ ანალოგს (სერია *ფულის ილუზია* 2003-2008). არტისტი გვავიძულებს ვიფიქროთ კაპიტალისტური სისტემის სუპერსტრუქტურებზე, მათი ძლევამოსილების წყაროზე - ფულზე და იმ გამოწვევაზე, რასაც ფულს ხელოვნებაში მისი ილუზორული ანალოგის გამოჩენა უქმნის. აღნიშნულ სერიაში ქვეტექსტად იკითხება არტისტის მინიშნება ხელოვნების ნაწარმოების შესაძლებლობაზე, თავადვე იქცეს ფულის ძალის მქონე, მსყიდველობითუნარიან ერთეულად. პოსტსაბჭოთა რეალობაში ეკონომიკური სისტემებისა და მათ კონტექსტში ხელოვნების ნაწარმოების ამგვარი გააზრება საშუალებას გვაძლევს ისინი ახალ პრიზმაში გავაანალიზოთ და შევადაროთ მათ შესახებ საბჭოთა კულტურის მიერ მემკვიდრეობად დატოვებულ ცოდნას.

ზემოთ აღწერილი არტისტული სტრატეგიები და პოზიცია არა მხოლოდ ჩვენი კულტურის ძველი და ახალი პრობლემების გააზრებაში გვეხმარება, არამედ ქართულ ხელოვნებას მისთვის შედარებით ახალი, სოციალურად აქტიური და კრიტიკული როლისკენ უბიძგებენ, რაც თვისებრივად ახალ და განსაკუთრებულ მონაპოვარს წარმოადგენს ჩვენი კულტურის პარადიგმის ცვლილების პროცესში.

and the challenge that makes the appearance of the illusory analogy of money in art. In the series, the artist indicates the possibility of the artwork to become the unit with purchasing power as money. In the post-soviet reality understanding of the artwork in the context of economic systems, allows us to analyze them into the new prism and compare them with the knowledge which the Soviet culture left as its legacy.

The artistic strategies and position described above are not only helping us to understand the old and new problems of our culture but also encourage Georgian art to be in a new, socially active and critical role that is qualitatively new and special achievement in the process of changing our culture paradigm.

დოქტორი თამთა თამარ შავგულიძე

Dr. Tamta Tamar Shavgulidze



ფულის ილუზია  
MONEY ILLUSION

რატომ ვადებთ ფერად ქაღალდს გარკვეულ ფასს? მონეტები და ბანკნოტები იძენენ გარკვეულ ღირებულებას, როდესაც ჩვენ მას დავნომრავთ და შემდეგ შევთანხმდებით რომ ეს კუპიურაა.

იგივე იდეა დევს ფულის ილუზიის კონცეფციაშიც, სადაც თიხის ბანკნოტები დაფერილია ძვირფასი მეტალებით. თიხა ჩვეულებრივი მიწაა, მაშინ როდესაც სპილენძი, ოქრო და პლატინა ძვირადღირებული მეტალებია ყველა კულტურაში. ეს კომბინაცია ქმნის ფულის ილუზიის ესთეტიკას.

Why do we empower colored paper with a certain value? Coins and banknotes gain worth when we assign numbers to them and agree they are now currency.

The same idea is at the core of the work *Money Illusion* where clay banknotes are inlaid with precious metals. Clay is common earth, while copper, gold and platinum are held in high regard by all cultures. The combination presents an aesthetic, creating *Money Illusion*.



ფულის ილუზია, 2003/08, კერამიკა, ობიექტი, 4 x 28 x 25 სმ  
Money Illusion, 2003/08, ceramics, object, 4 x 28 x 25 cm



ფულის ილუზია, 2003/08, კერამიკა, მცირე ზომის ფორმები  
Money Illusion, 2003/08, ceramics, small scale slabs



პროექტის ავტორი  
**ლია ბაგრათიონი**  
პროექტის კურატორი  
**მაგდა გურული**

Project Author  
**LIA BAGRATIONI**  
Project Curator  
**MAGDA GURULI**

პროექტის კოორდინატორი  
**ლიკა მამაცაშვილი**  
პროექტის მენეჯერი  
**მიხეილ გაფრინდაშვილი**  
პროექტის ასისტენტი  
**ციკო ჯანყარაშვილი**  
დიზაინერი  
**გეგა კუთათელაძე**  
საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერი  
**ქეთევან ტრაპაიძე**  
ექსპოზიციის მენეჯერი  
**დიანა ბახტაძე**

Project Coordinator  
**LIKA MAMATSASHVILI**  
Project Manager  
**MIKHEIL GAPRINDASHVILI**  
Project Assistant  
**TSIKO JANKARASHVILI**  
Designer  
**GEGA KUTATELADZE**  
Educational Program Manager  
**KETEVAN TRAPIDZE**  
Exposition Manager  
**DIANA BAKHTADZE**

სამუშაო ჯგუფი  
**ლია კაბულაშვილი**  
**მაია მდინარაძე**  
**მზაგო ჯანელიძე**  
**ქეთევან ჯანყარაშვილი**

Working Group  
**LIA KABULASHVILI**  
**MAIA MDINARADZE**  
**MZAGO JANELIDZE**  
**KETEVAN JANKARASHVILI**

ფოტოები:

ნესტან აბდუშელიშვილი, ქუცნა ამირეჯიბი, რაფაელ არზუმანოვი,  
ლია ბაგრათიონი, ნოდარ ლადარია, თაკო რობაქიძე,  
ნატა სოფრომაძე, ნინო წითურიშვილი.

Photos by:

Nestan Abdushelishvili, Qutsna Amirejibi, Raphael Arzumanov,  
Lia Bagrationi, Nodar Ladaría, Tako Robakidze,  
Nata Sopromadze, Nino Tsiturishvili.

